საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №249/ნ
2012 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის №93 ბრძანებით (სსმ III, 13.02.2007 წ., №20, მუხ. 229, სარეგისტრაციო კოდი – 040.030.000.22.022.009.972) დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) განათლების სფეროში, მათ შორის, შეფასებისა და გამოცდების ორგანიზების სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოება;“;

ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ“, ,,ი“ და ,,კ“ ქვეპუნქტები:

,,თ) განათლების სისტემაში შეფასების სფეროს განვითარება და კვლევა;

ი) სასწავლო პროცესის შეფასება და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

კ) ორგანიზაციის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია.“;

გ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ვ^{1}“ ქვეპუნქტი:

,,ვ^{1}) ამყარებს ურთიერთობებს საერთაშორისო ცენტრებთან, დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ახორციელებს შეფასებისა და გამოცდების სფეროში მიმდინარე პროექტების კოორდინაციას. აგრეთვე ცენტრი უფლებამოსილია ორგანიზება გაუწიოს საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას;“

დ) მე-2 პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით ფლობს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციითა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ან/და ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით შემოსავლების მიღებისა და თავისი მიზნების მისაღწევად ამ შემოსავლების გამოყენების უფლებას;“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი**